სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030672655345818

03 / დეკემბერი / 2018 წ. **თბილისი #06-202/ო**

კონფირმაციული კვლევის მიმწოდებელთა რეგისტრაციის და ყოველთვიური საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის და „C” ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა აქტიური მოზიდვისა და მკურნალობაში ჩართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ„ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 6 ნოემბრის #01-1287/ო ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა აქტიური მოზიდვისა და მკურნალობაში ჩართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 6 ნოემბრის N01-1287/ო ბრძანების შესაბამისად, კონფირმაციული კვლევის მიმწოდებელთა რეგისტრაციის ფორმა დანართი N1- ის და ყოველთვიური საანგარიშგებო ფორმა დანართი N2 - ის შესაბამისად.
2. დაევალოს, ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
3. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 19 ნოემბრიდან.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე